# ს ა მ ტ რ ე დ ი ა

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება N 38 179

02/11/2015

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ**

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“–ქვეპუნქტის „ე.დ“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ი“–ქვეპუნქტისა და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**1.1.** ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობები, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

**1.2.** ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

**1.3.** ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 250000 (ორასორმოცდაათიათასი) ლარი.

**1.4.** ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო

ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის ოდენობით.

**1.5.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**2.1.** ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66-ში მდებარე 126 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.358) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

**2.2.** ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66-ში მდებარე 126 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.358) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

**2.3.** ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66-ში მდებარე 126 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.358) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 1400 (ათასოთხასი) ლარი.

**2.4.** ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66-ში მდებარე 126 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.358) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის ოდენობით.

**2.5.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**3.1.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3282 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.188) არსებული შენობა (ყოფილი კულტურის სახლის შენობა) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

**3.2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3282 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.188) არსებული შენობის პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

**3.3.** პირობად განისაზღვროს, რომ:

**3.3.1.** შენობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

**3.3.2.** შენობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

**3.3.3.** შენობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) თვე. აღნიშნული 2 (ორი) თვიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

**3.4.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3282 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.188) არსებული შენობის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 8000 (რვაათასი) ლარი.

**3.5.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3282 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

№34.10.48.188) არსებული შენობის ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის ოდენობით.

**3.6.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**2.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

საკრებულოს თავმჯდომარე